Besondere persönliche Merkmale

Nach **deutschem Recht** (§ 14 Abs. 1 dStGB) versteht man hierunter besondere persönliche Eigenschaften, Verhältnisse und Umstände. Fehlen diese beim Teilnehmer (Anstifter oder Gehilfe), so ist dessen Strafe zu mildern, sofern sie die Strafbarkeit des Täters begründen (§ 28 Abs. 1 dStGB). Bestimmt das Gesetz hingegen, dass besondere persönliche Merkmale die Strafe schärfen, mildern oder ausschließen, so gilt dies nur für den Beteiligten (Täter oder Teilnehmer), bei dem sie vorliegen (§ 28 Abs. 2 dStGB). Gleiches gilt für schuldbezogene Merkmale (§ 29 dStGB). Im **georgische Recht** (Art. 25 Abs. 5, Art. 57 Abs. 2 gStGB) werden schuld- und täterbezogene persönliche Merkmale, die das Unrecht nicht begründen, sondern sich nur strafschärfend oder strafmildernd auswirken, ebenfalls nur demjenigen Täter oder Teilnehmer zugerechnet, der sie in der eigenen Person erfüllt. Diese Regelung entspricht somit § 28 Abs. 2, § 29 dStGB. Dagegen fehlt im georgischen Recht eine dem § 28 Abs. 1 dStGB entsprechende Vorschrift hinsichtlich strafbegründender Merkmale (vgl. aber Art. 25 Abs. 6 gStGB). Es handelt sich bei den besonderen persönlichen Merkmalen somit um täterbezogene Merkmale (z.B. die Habgier beim Mord). Diese sind abzugrenzen von den tatbezogenen Merkmalen (z.B. der Grausamkeit beim Mord). Erfüllt der Haupttäter ein solches tatbezogenes (im georgischen Recht: „objektives“) Merkmal, so wird dies dem Beteiligten dann zugerechnet, wenn er es gekannt hat, auch wenn er es nicht selbst erfüllt (so ausdrücklich geregelt in Art. 25 Abs. 4 gStGB). (Bhe/Kmt)

განსაკუთრებული პერსონალური ნიშნები

გერმანულ სამართალში (გსსკ-ის მე-14 პარაგრაფის 1-ელი ნაწილი) განსაკუთრებული პერსონალური ნიშნები გაგებულია, როგორც პიროვნული თვისებები, ურთიერთობები და გარემოებები. თუ თანამონაწილეს (წამქეზებელი, დამხმარე) ეს ნიშანი არ ახასიათებს, მისი სასჯელი უნდა შემსუბუქდეს, თუკი ეს ამსრულებლის დასჯადობას აფუძნებს (გსსკ-ის 28-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), მაგრამ კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული პერსონალური ნიშანი, რომელიც სასჯელს ამძიმებს, ამსუბუქებს ან გამორიცხავს, მხოლოდ იმ თანამონაწილეს (ამსრულებელი, თანამონაწილე) შეერაცხება, რომელსაც ის ახასიათებს (გსსკ-ის 28-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). ბრალთან დაკავშირებული მახასიათებლებზეც იგივე წესი მოქმედებს (გსსკ-ის 29-ე პარაგრაფი). **ქართულ სამართალში** (სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ბრალის ან ერთ-ერთი ამსრულებლის, ან თანამონაწილისთვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი, რომელიც უმართლობას კი არ აფუძნებს, არამედ რომელსაც მხოლოდ სასჯელის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი მნიშვნელობა აქვს, ასევე მარტოდენ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს შეერაცხება, რომელსაც იგი ახასიათებს. ამგვარად, ეს რეგულაცია შეესაბამება გსსკ-ის 28-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილს და 29-ე პარაგრაფს. სამაგიეროდ, ქართულ სამართალში არ არსებობს გსსკ-ის 28-ე პარაგრაფის

1-ელი ნაწილის შესაბამისი რეგულაცია სასჯელის დამაფუძნებელ ნიშნებზე (მაგრამ შეად. სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილი). ამგვარად, განსაკუთრებული პერსონალური ნიშნები პირთან დაკავშირებულ ნიშნებია (მაგ. ანგარება მკვლელობისას). ისინი უნდა გავმიჯნოთ ქმედებასთან დაკავშირებული ნიშნებისაგან (მაგ. განსაკუთრებული სისასტიკე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისას). თუ ამსრულებელი ამგვარ, ქმედებასთან დაკავშირებულ (ქართული სამართლის მიხედვით „ობიექტურ“) ნიშანს შეასრულებს, ეს (ნიშანი) თანამონაწილეს მაშინ შეერაცხება, თუ მას ეს შეცნობილი ჰქონდა, მაშინაც კი, როდესაც მის მხარეს ეს ნიშანი არ არსებობს (ცალსახადაა გათვალისწინებული სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი). (Bhe/Kmt)